საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი

2018

დაზუსტებული მონაცემები

15.11.2019

www.geostat.ge

15.11.2019

მთლიანი შიდა პროდუქტი, 2018 წელი

1. ცვლილებები ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგიაში

2019 წელს საქსტატმა ეროვნული ანგარიშების წარმოებაში ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა, რაც დაკავშირებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) ახალი მეთოდოლოგიის (SNA 2008) დანერგვასთან.

ეას-ის ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლა ეროვნულ ანგარიშებში მთელ რიგ ცვლილებებს განაპირობებს, რაც უკავშირდება მშპ-ს და ეროვნული ანგარიშების სხვადასხვა აგრეგატების გაანგარიშებას ახალი სტანდარტების შესაბამისად, ასევე მონაცემთა წყაროს არსებით გაუმჯობესებას, დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების შეფასებისა და ადმინისტრაციულ მონაცემთა დამუშავების თვალსაზრისით.

ეას-ის ძველსა (SNA 1993) და ახალ მეთოდოლოგიას (SNA 2008) შორის არსებული განსხვავებები ძირითადად დაკავშირებულია ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასების (FISIM) ცვლილებასთან, კვლევებსა და დამუშავებასთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაციასთან და საკუთარი საცხოვრისის პირობითი რენტის გაანგარიშების გაუმჯობესებასთან.

გარდა ზემოთქმულისა, ეროვნული ანგარიშების წარმოებაში დაინერგა ეკონომიკური საქმიანობის სახეების ახალი კლასიფიკატორი (NACE rev.2).

ახალი მეთოდოლოგიით წარმოებული 2018 წლის მშპ-ს და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატების გაანგარიშებასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა წინა წლების მონაცემებთან შესადარისობის საკითხი, რაც გულისხმობდა ისტორიული მწკრივების გადაანგარიშებას, რათა უზრუნველყოფილიყო ახალი მეთოდით გაანგარიშებულ 2018 წლის მონაცემებთან წინა პერიოდის მონაცემების სრული ჰარმონიზება. შესაბამისად საქსტატმა გადაიანგარიშა 2010 წლიდან არსებული მონაცემები.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მშპ-ს მიმდინარე ფასებში, გადაანგარიშებამდე (SNA 1993-ის შესაბამისად) და მის შემდეგ, ხოლო პრეს-რელიზში წარმოდგენილი ანალიზი ეფუძნება ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებულ (SNA 2008-ის შესაბამისად) მონაცემებს.

მთლიანი შიდა პროდუქტი, 2010-2018 წლები



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მშპ ერთ სულზე, გადაანგარიშებამდე და მის შემდეგ:

მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი



ხოლო შემდეგი დიაგრამა ასახავს მშპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებლებს გადაანგარიშებამდე და მის შემდეგ:



2. ძირითადი შედეგები

დაზუსტებული მონაცემებით, 2018 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ მიმდინარე ფასებში 44 599.3 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 9.4 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 2018 წელს წინა წელთან შედარებით 4.8 პროცენტით, ხოლო დეფლატორის პროცენტული ცვლილება 4.4 პროცენტით განისაზღვრა.

ცხრილი №1

მაჩვენებელი	2017	2018
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	40 761.7	44 599.3
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ დოლარი)	16 248.5	17 596.6
მშპ ერთ სულზე (ლარი)	10 933.9	11 968.0
მშპ ერთ სულზე (აშშ დოლარი)	4 358.5	4 722.0
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	4.8	4.8
მშპ-ის დეფლატორის პროცენტული ცვლილება (%)	8.5	4.4

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა და დეფლატორის პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით

(პროცენტი)



15.11.2019

ცხრილი № 2

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი

(მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

ეკონომიკური საქმიანობის სახეები	2017	2018
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	2 543.6	3 015.9
სამთომოპოვებითი მრეწველობა	420.1	457.2
დამამუშავებელი მრეწველობა	3 504.3	3 940.1
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	776.4	980.0
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	323.9	292.7
მშენებლობა	3 215.0	3 213.2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	4 948.8	5 406.3
ტრანსპორტი და დასაწყობება	2 247.2	2 461.6
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	1 437.5	1 800.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1 003.3	1 077.5
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	2 070.6	2 350.4
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	4 247.3	4 430.8
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	945.1	1 004.6
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	428.8	510.1
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	2 638.1	2 899.7
განათლება	1 608.5	1 740.0
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1 565.0	1 632.8
ხელოვნება, გართობა და დასვენება	1 045.1	1 182.2
სხვა სახის მომსახურება	344.1	346.7
შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	35.0	36.9
მშპ საბაზისო ფასებში	**35 347.6**	**38 778.5**
გადასახადები პროდუქციაზე	5 604.0	6 031.2
სუბსიდიები პროდუქციაზე	190.0	210.3
მშპ საბაზრო ფასებში	**40 761.7**	**44 599.3**

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (13.9 პროცენტი) და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (11.4 პროცენტი). შემდგომ პოზიციებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (10.2 პროცენტი), მშენებლობა (8.3 პროცენტი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (7.8 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება (7.5 პროცენტი), ტრანსპორტი და დასაწყობება (6.3 პროცენტი), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (6.1 პროცენტი).

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა, 2018 წელი



შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

ცხრილი № 3 **მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წლის მიმართ (პროცენტი)**

ეკონომიკური საქმიანობის სახეები	2017	2018
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	-7.7	13.8
სამთომოპოვებითი მრეწველობა	2.8	3.4
დამამუშავებელი მრეწველობა	1.7	4.1
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	8.2	6.3
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	15.0	-9.5
მშენებლობა	5.8	-7.2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	4.4	5.5
ტრანსპორტი და დასაწყობება	11.6	4.5
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	21.0	10.5
ინფორმაცია და კომუნიკაცია	9.2	3.4
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	15.5	11.6
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	4.4	2.1
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	4.1	4.6
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	5.4	15.4
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	-3.2	7.6
განათლება	4.4	6.5
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	8.3	2.5
ხელოვნება, გართობა და დასვენება	5.7	7.6
სხვა სახის მომსახურება	6.6	-1.2
შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	0.4	4.4
მშპ საბაზისო ფასებში	**4.7**	**4.9**
გადასახადები პროდუქციაზე	5.6	4.9
სუბსიდიები პროდუქციაზე	4.8	7.9
მშპ საბაზრო ფასებში	**4.8**	**4.8**
მშპ დეფლატორის პროცენტული ცვლილება	8.5	4.4

ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (13.8 პროცენტი), საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (5.5 პროცენტი), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (11.6 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება (7.6 პროცენტი), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები (10.5 პროცენტი), დამამუშავებელი მრეწველობა (4.1 პროცენტი), განათლება (6.5 პროცენტი), ტრანსპორტი და დასაწყობება (4.5 პროცენტი).

კლება აღინიშნა მშენებლობის დარგში (-7.2 პროცენტი).

ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა, მიმდინარე ფასებში, ასახულია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:



საკონტაქტო პირები:

ლევან ქარსაულიძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)

E-mail: Lkarsaulidze@geostat.ge; info@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)

E-mail: mkavelashvili@geostat.ge; info@geostat.ge